

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ЦЕНТРАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА

ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“

БИОБИБЛИОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ «ГРУЗИНСКИЕ УЧЕНЫЕ»

Георгий Васильевич

Церетели

(1904-1973)

Биобиблиография

Издательство «Мецниереба»

Тбилиси

1986

გიორგი  
წერეთელი  
(1904-1973)

ბიობიბლიოგრაფია

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1986

№ 394

გამოჩენილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნის აკად. გიორგი წერეთლის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1935-1981 წწ. მასალას. ნაშრომში შედის სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-პოპულარული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მისი რედაქციით გამოცემული შრომები, აგრეთვე ლიტერატურა გიორგი წერეთლის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ცალკეა გამოყოფილი საიუბილეო თარიღები. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის გ. წერეთლის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის შრომათა ანბანური და სახელთა საძიებლები.

Биобиблиография выдающегося грузинского востоковеда акад. Г. В. Церетели содержит материал, охватывающий 1935-1981 годы. В биобиблиографии представлены научно-исследовательские, научно-популярные, общественно-политические труды и труды, опубликованные под редакцией учебного, а также литература о Г. В. Церетели.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Отдельно выделены юбилейные даты. Биобиблиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности ученого, затем следует перечень основных дат жизни и деятельности Г. В. Церетели. Прилагается алфавитный указатель трудов и именной указатель.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, (მთ. რედაქტორი), ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ლ. გ ა ბ უ ნ ი ა, ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მ. დ ა რ ა ს ე ლ ი ა, თ. ო ნ ი ა ნ ი, შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, გ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ჯ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ს. ხ ა დ უ რ ი, ნ.

გ უ რ გ ე ნ ი ძ ე (მდივანი).

შემდგენლები: მ. ბ ა რ კ ა ვ ა, ნ. ბ ა ლ ა თ უ რ ი ა

რედაქტორები: მ. ნ ე დ ო ს პ ა ნ ო ვ ა, ნ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე

ბიბლიოგრაფიული რედაქცია თ. ნ ა კ ა შ ი ძ ი ს ა

Главная редакционная коллегия биобиблиографической серии: Г. Н. Д ж и б л а д з е (гл. Редактор), А. М. А п а к и д з е, Л. К. Г а б у н и я, В. И. Г о м е л а у რ ი, М. К. Д а რ ა ს ე ლ ი ა, Т. Н. ო ნ ი ა ნ ი, Ш. В. Д з ი დ з ი გ უ რ ი, А. Л. Ц ა გ ა რ ე ლ ი, В. Ц ი ც ი შ ვ ი ლ ი, Дж. Г. ო მ ი ნ ა ძ ე, С. А. ო ა დ უ რ ი, Н. А. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე (секретарь)

Составители: М. И. Б а р к а в а, Н. В. Б а г а т у რ ი ა

Редакторы: М. Е. ნ ე დ ო ს პ ა ნ ო ვ ა, Н. А. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე

Библиографическая редакция: Т. Е. ნ ა კ ა შ ი ძ ე

4503010101

ბ ----- 141-86

გამომცემლობა „მეცნიერება“, 1986

M 607(06)-86

## გიორგი წერეთელი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ფართოდ ცნობილი არაბისტი და საბჭოთა სემიტოლოგიის აღიარებული მამამთავარი გიორგი წერეთელი დაიბადა 1904 წლის 21 ოქტომბერს დაბა თიანეთში ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ექიმის ვასილ წერეთლის ოჯახში. უკვე ბავშვობაში გამოავლინა პატარა გოგომ არაჩვეულებრივი ნიჭი და სიყვარული ენების შესწავლისადმი. ჯერ კიდევ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე გოგი წერეთელი რამდენიმე უცხოურ ენას ფლობდა. ენებისადმი ამ სიყვარულმა მიიყვანა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ლინგვისტურ განყოფილებაზე, სადაც იგი გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ივ. ჯავახიშვილის, აკ. შანიძისა და გ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით ენათმეცნიერებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა. 1928 წელს იგი ირიცხება უკვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტად ლენინგრადში. ასპირანტურაში ყოფნისას სახელგანთქმულ მეცნიერთა, აკადემიკოსების ე. კრაჩკოვსკის, პ. კოკოვცოვისა და ვ. ბარტოლდის ხელმძღვანელობით გ. წერეთელი სპეციალიზირდება ორიენტალისტიკის სხვადასხვა დარგში. მას იწვევენ არაბული ენის დოცენტად ლენინგრადის ცოცხალ აღმოსავლურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტში.

1933 წ. გ. წერეთელი ბრუნდება თბილისს, სადაც დიდის ენერგიით წარმართავს სამეცნიერო კადრების მომზადებას სემიტოლოგიის სხვადასხვა სფეროში. იგი სათავეში უდგება ახლად ჩამოყალიბებულ აღმოსავლურ განყოფილებას ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი). 1942 წ. გ. წერეთელი ბრწყინვალედ იცავს სადოქტორო დისერტაციას და იმავე წელს პროფესორის წოდებას ენიჭება.

1944 წ. გ. წერეთელს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წ. ნამდვილ წევრად; ამავე დროს იგი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ხდება. 1957-1967 წწ. იგი ხელმძღვანელობს ჩვენი აკადემიის საზოგადოებრივ განყოფილებას, ხოლო 1967 წლიდან 1970 წლამდე ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. წერეთელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი იყო.

1968 წ. გ. წერეთელს, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს, მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურებისათვის ირჩევენ საკავშირო აკადემიის ნამდვილ წევრად. გ. წერეთლის არჩევა საკავშირო აკადემიის აკადემიკოსად ფართო სამეცნიერო საზოგადოებრიობამ მიიჩნია მისი მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის სამართლიან აღიარებად.

გ. წერეთლის ვითარცა მეცნიერისა და მეცნიერების ორგანიზატორის ნიჭი მთელი სისრულით 40-იანი წლების შემდგომ გამოვლინდა. მისი ინიციატივით დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც გ. წერეთლის ხელმძღვანელობით მსოფლიო ორიენტალისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად იქცა და რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს. მანვე ჩაუყარა საფუძველი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილ „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიას“, რომელმაც რამდენიმე წლის მანძილზე გამოსაცემად მოამზადა არაბ, ირანულ, ბერძენ,

სომეხ, რუს და დასავლეთ-ევროპელ ავტორთა ასამდე ტომი. ამ ნაშრომთაგან უკვე გამოქვეყნებულია საფუძვლიანად კომენტირებული ოცდაათზე მეტი წიგნი. მისივე უშუალო და ქმედითი მონაწილეობით შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია“.

გ. წერეთელი იყო რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონია“ მთავარი რედაქციის წევრი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი...

განუზომლად ფართოა გ. წერეთლის სამეცნიერო ინტერესების სფერო. იგი მოიცავს არაბულ ენათმეცნიერებასა და ფოლკლორს, ებრაისტიკასა და არამეისტიკას, ახლო აღმოსავლეთის ძველ ენებსა და დამწერლობათა ისტორიას, ქართველურ ენათმეცნიერებას, ქართული და შედარებითი ლექსწყობის საკითხებს, თეორიული ლინგვისტიკის პრობლემებს. თითოეულ დარგში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და მისმა შრიმებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების საგანძურში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევანი შუა აზიის მანამდე უცნობ არაბულ დიალექტებზე - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი არაბისტიკის ისტორიაში. ამ დიალექტთა მონაცემები ფასდაუდებელი წყაროა არაბული შედარებითი დიალექტოლოგიისათვის, ამავე დროს, ისინი შუქს ჰფენენ არაბული ენის ისტორიის კარდინალურ საკითხებს. უხვი ენობრივი მასალის ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე გ. წერეთელმა დაადგინა ორი დამოუკიდებელი არაბული დიალექტის არსებობის ფაქტი - ბუხარულისა და კაშკადარიულის, რომელთაგან პირველი მესოპოტამურ კილოკავს, ხოლო მეორე ბედუინების ენას უახლოვდება. მკვლევრის ღვაწლმა ამ დარგში საყოველთაო აღიარება ჰპოვა; მისმა დიალექტოლოგიურმა შტუდიებმა ამ მიმართულებით ახალი პერსპექტივები გადაუშალა თანამედროვე არაბისტიკას.

გ. წერეთელს დიდი ღვაწლი მიუძღვის არაბული ენის კავკასიური ტრადიციების შესწავლის საქმეში. მან გამოსცა შამილის წერილები შესანიშნავი ისტორიულ-ფილოლოგიური კომენტარებითურთ.

არაბისტთა ეროვნული კადრების მომზადების მიზნით გ. წერეთელმა შეადგინა „არაბული ქრესტომათია“ (1848), სადაც საქართველოსა და კავკასიის შესახებ სხვა ტექსტებთან ერთად პირველად გამოაქვეყნა ნაწყვეტები მაკარი ანტიოქელის (XVII ს.) ავტოგრაფიდან და ალ-ფარიკის (XII ს.) ისტორიული თხზულებიდან. „ქრესტომათიას“ მოყვა პირველი „არაბულ-ქართული ლექსიკონი“ (1951) - ქართველ არაბისტთა სამაგიდო წიგნი. გ. წერეთელი უკანასკნელ ხანამდე მუშაობდა „კლასიკური არაბული ენის გრამატიკაზე“, რომელიც ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა; ხელმძღვანელობდა არაბისტთა კოლექტივის მუშაობას ვრცელი არაბული ენის ლექსიკონის შედგენაზე, სადაც გათვალისწინებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძველი კლასიკური ხანისა. გ. წერეთელს მომზადებული ჰქონდა დასაბეჭდად მაკარი ანტიოქელის მოგზაურობის წიგნი (არაბული ტექსტი და თარგმანი კომენტარებითურთ), რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისა და საქართველოს გარკვეული პერიოდის შესწავლისათვის.

მეცნიერის ყურადღებას არ გამორჩენია არც არაბული ლიტერატურის სფერო. წლების მანძილზე კითხულობდა იგი უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არაბული პოეზიის კურსს, რომელის სტუდენტთათვის მუდამ შეუნელებელი ინტერესის საგანი იყო. დამაბული მეცნიერული შრომის პირობებში გ. წერეთელი პოულობს დროს და ბრწყინვალედ თარგმნის ახალი არაბული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის ემინ

რეიკანის ლექსებს, რედაქტორობს მის მოწაფეთა მიერ ნათარგმნ „ათას ერთ ღამეს“ /მის სიცოცხლეში გამოვიდა განზრახული რვატომეულის ორი ტომი/.

გ. წერეთლის ლიტერატურულ-ფოლკლორული ინტერესების დასადასტურებლად აღსანიშნავია, რომ იგი, ჯერ კიდევ 1925 წელს, სემიტური ენათმეცნიერების ასპირანტი, თანამშრომლობს თავის მასწავლებელ აკაკი შანიძესთან ხევსურული პოეზიის ნიმუშთა შეკრებაში: მის მიერ ჩაწერილი მთელი წყება ტექსტებისა დაბეჭდილია 1931 წ. გამოცემულ „ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (I, ხევსურული).

სემიტოლოგიაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ითვლება გ. წერეთლის მიერ წამოწყებული სამუშაო არმაზში აღმოჩენილი წარწერების ამოკითხვისა და კვლევის საქმეში. ამ დარგს მან მიუძღვნა ბრწყინვალე გამოკითხვა „არმაზის ბილინგვა“ (1941) და „არმაზული წარწერა მითრიდატე იბერიელის ხანისა“ (1962).

გ. წერეთლის მიერ ამოკითხულ არმაზის არამეულ წარწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ როგორც ახალ წყაროს აღმოსავლურ არამეული დამწერლობისა და მის განშტოებათა ისტორიის შესწავლისათვის, არამედ ისინი ნათელს ჰფენენ იბერიის კულტურულ-ისტორიულ პრობლემათა მთელ წყებას. ხსენებულ შრომებში ავტორმა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების საკვანძო პრობლემებთან ერთად ყურადღება მიაპყრო ქართული ანბანის წარმოშობის საკითხსაც. ეს გამოკვლევები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სემიტური დამწერლობის ისტორიისათვის: არმაზში აღმოჩენილი არამეული წარწერების შესწავლისას გ. წერეთელმა დაადგინა ახალი, მანამდე უცნობი სახეობა არამეული დამწერლობისა, რომელიც მეცნიერებაში „არმაზის არამეულის“ სახელწოდებით დამკვიდრდა და თავისი ადგილი ჰპოვა არამეულ წარწერათა შემდგომ გამოცემებსა და აღწერილობებში.

არანაკლებ ფასეულია ქართული კულტურის ისტორიისათვის გ. წერეთლის მონოგრაფია „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“ (1960), სადაც ავტორი წარწერათა ფილოლოგიური ანალიზისა და ვრცელი საისტორიო მასალის საფუძველზე აყენებს დებულებას, რომ პალესტინის წარწერები აქამდე ცნობილ ყველა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლზე ძველია და ჩვენი წ.-ის V ს. პირველ ნახევარშია შექმნილი.

ამ პრობლემათა წრეს განეკუთვნება აგრეთვე გ. წერეთლის გამოკვლევა „მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა“ (1958), სადაც ავტორი, ბერძნული ტექსტის ზოგიერთი ადგილის ახლებური წაკითხვის საფუძველზე იძლევა სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას მთელი წარწერისას. აქვე უნდა ვახსენოთ ირანული ეპიგრაფიკისა (შაჰურ I კარტირის პერსეპოლისური წარწერები) და იმავე ხანის მანიქეური დოკუმენტებისადმი მიძღვნილი შრომები. ირანელ მანიქეველთა წიგნი ეხება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მანის მოწაფეთა მისიონერულ მოღვაწეობას მანიქეური სარწმუნოების გასავრცელებლად, ჯერ კიდევ მათი მოძღვრის სიცოცხლეში რომ ეწეოდნენ. ამ წიგნის ფრაგმენტებიდა არის შემორჩენილი პართულ, ფილაურ და სოლდურ ენებზე. ირანულენოვანი ტექსტების გ. წერეთლისეულმა ორიგინალურმა ინტერპრეტაციამ და მათში დადასტურებული საკუთარი სახელების ახლებურმა იდენტიფიკაციამ, რაც გაზიარებული იყო ისეთი მეცნიერის მიერ, როგორცაა ვ. ჰენინგი (სწორედ ამ მასალების გამომცემელი), სრულიად უცნობი ფაქტები გამოავლინა ახ. წ. III ს. შუა წლების საქართველოს კულტურული ცხოვრებიდან. დადგენილ



იქნა, რომ დაახლოებით 260 წელს იბერიაში მოსულა მანის მოწაფე მოძღვრის იდეების საქადაგებლად, „სასწაულნი მოუხდენია“ და მანიქეური თემი დაუარსებია. ეს ამბავი სმენია იბერიის მეფეს, ამაზასპს. ამავე ხანებში, როგორც კარტირი იუწყება პერსეპოლისის წარწერაში, იგი - მაგუპატი და ირანის მანიქეური ეკლესიის დამაარსებელი - უერთდება შაპურის მიერ წარგზავნილ დამსჯელ რაზმებს, ებრძვის ქრისტიანებს, მანიქეველებს, მწვალებლებს, წარმართებს და შაპურისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში, მათ შორის იბერიასა და სომხეთში, აარსებს ზოროასტრულ ინსტიტუტებს.

ამრიგად, ეს ძეგლები აღგვიდგენენ იბერიის რელიგიურ სიტუაციას და სარწმუნოებრივ წინააღმდეგობებს ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამდე. ამ ნაშრომებში, რომელნიც ავლენენ მათი ავტორის სამაგალითო ისტორიულ-ფილოლოგიურ ერუდიციას, გ. წერეთელი წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც სემიტოლოგი და ქართველოლოგი, არამედ როგორც ჩინებული ირანისტი, რომელიც მოიხმობს მთელ რიგ ირანულ და სხვა ინდოევროპულ ენათა მონაცემებს საკუთრივ ირანისტიკის პრობლემათა გადასაწყვეტად.

სემიტური ფილოლოგიის დარგში აგრეთვე ყურადღების ღირსია გ. წერეთლის მიერ გამოცემული ძველებრაული ეპიგრაფიული ძეგლები, რომლებიც აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე. განსვენებული მეცნიერის ინტერესთა სფეროში შედიოდა აგრეთვე ქართველ ებრაელთა მეტყველება; აქაც მეტად საგულისხმოა მისი დაკვირვებები.

უკანასკნელ ხანებში გ. წერეთელი გატაცებით იკვლევდა ერთ ძველებრაულ ხელნაწერს, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება და რომელსაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ძველებრაული ტექსტების ვოკალიზაციის შესწავლისათვის. ეს უნიკალური ხელნაწერი ლაილაშში (ლეჩხუმში) აღმოჩნდა და პირობით „ლაილაშის ბიბლიის“ ანუ „სვანური ბიბლიის“ (რაკი ადგილობრივი ტრადიციით იგი სვანეთიდან ჩამოუტანიათ) სახელით არის ცნობილი. ტექსტის პალეოგრაფიულმა ანალიზმა გ. წერეთელს ავარაუდებინა, რომ ხელნაწერი X ს. განეკუთვნება. კონსონანტური ტექსტის მხრივ თბილისის ხელნაწერი ერთ-ერთი საუკეთესოა დღესდღეობით ცნობილ ანალოგიურ ხელნაწერთა შორის, ხოლო ზოგ რამეში (მხედველობაშია, კერძოდ, ე. წ. „სტრიქონის შემდგომი ნიშნები“) ფართოდ ცნობილ „ალეკოს კოდექსზე“ უპირატესია. გ. წერეთლის ვარაუდით, ებრაული ბიბლიის ტექსტის მომავალი კრიტიკული გამოცემისას „თბილისის ხელნაწერი“ შეიძლება ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქნეს გამოყენებული.

გ. წერეთელს დიდი წვლილი უდევს ძველი აღმოსავლეთის ენების შესწავლაში. მისი ნაშრომი „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (1939) ძველი დამწერლობის ენათა ძეგლების გამოცემის სამაგალითო ნიმუშია. ურარტული ენის სტრუქტურის დეტალურმა შესწავლამ გ. წერეთელს შესაძლებლობა მისცა ახლებურად გაეშუქებინა ურარტული ენის ნომინალურ და ზმნურ აფიქსთა ფუნქციები, მათი ურთიერთდამოკიდებულება და დაედგინა უღლებისა და ბრუნების სისტემა, რაც სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა მანამდე მიღებული თვალსაზრისისაგან. გაირკვა ურარტული ენის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსება კავკასიურ ენებთან, რამაც ნიადაგი შეამზადა ამ ენათა შორის შესაძლებელი გენეტიკური კავშირის კვლევისათვის. გ. წერეთლის გამოკვლევებმა ამ დარგში საფუძველი დაუდო სოლისებრი დამწერლობის ენათა შესწავლას საქართველოში.

მრავალმხრივი ინტერესებისა და ფართო დიაპაზონის მეცნიერი გ. წერეთელი უპირველეს ყოვლისა შესანიშნავი ლინგვისტი იყო, რომლის თეორიული ხასიათის შრომები თანამედროვე ენათმეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „ალოგენეტურ ურთიერთობათა“ თეორია, რომელიც მან სიცოცხლის ბოლო წლებში განავითარა (1968). სემიტური და ქამიტური ( თანამედროვე მეცნიერებაში „აფრაზიულად“ წოდებული) ენების შესწავლამ მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ენათა შორის გარდა თავდაპირველი ნათესაური კავშირისა, არსებობს აგრეთვე „შენათესავებით“ გამოწვეული კავშირები, მის მიერ „ალოგენეტურად“ წოდებული, რომელნიც წარმოიშობა არეალური ერთიანობის პირობებში არამონათესავე ენებს შორის. ამ თვალსაზრისით მან განიხილა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მსგავსებანი ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის („სონანტებისა და აბლაუტის თეორიის შესახელ ქართველურ ენებში“, 1965). გ. წერეთლის შრომა ენობრივ კავშირთა პრობლემატიკის და ალოგენეტური ურთიერთობათა თეორიის შესახებ ახალი სიტყვაა თეორიულ ლინგვისტიკაში, ხოლო მის მიერ დამუშავებული პრინციპები სემიტურ ენათა იდენტიფიკაციისა და კლასიფიკაციისა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სემიტოლოგიისათვის, არამედ სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ლინგვისტიკისათვის საერთოდ.

„ვეფხისტყაოსანს“ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა გ. წერეთლის მეცნიერულ შემოქმედებაში. განუზომელია მისი ღვაწლი პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენისა და მის გამოსაცემად მომზადების საქმეში. განსვენებული მეცნიერი, როგორც მომავალი გამოცემის მთვარაი რედაქტორი, სამაგალითო გატაცებითა და მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით იკვლევდა პოემის ტექსტთან დაკავშირებულ მრავალფეროვან საკითხებს. ამ დარგში გამოქვეყნებულ შრომათაგან უაღრესად მნიშვნელოვანია მონოგრაფია „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (1973), მისი უკანასკნელი დანატოვარი. ეს ნაშრომი არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსთაველური ლექსის კვლევით; მასში განვითარებული შეხედულებანი თანაბრად ნაყოფიერია როგორც ქართული ლექსთწყობის, ისე შედარებითი ვერსიფიკაციის თვალსაზრისით. გ. წერეთელმა ცხადყო, რომ რუსთაველური შაირი რეგულირებული სილაბური ლექსია და არა სილაბურ-ტონური, როგორც მანამდე იყო მიჩნეული და რომ იგი აგებულია აბსოლუტური პროპორციის (მაღალი შაირი) და „ოქროს კვეთის“ პროპორციის პრინციპზე (დაბალი შაირი). რუსთაველური შაირისა და, საერთოდ, ქართული ლექსის ამგვარი სილაბური სტრუქტურა დამახასიათებელი ყოფილა საერთო-ქართველური ლექსისათვისაც; უფრო მეტიც, ქართველური ლექსთწყობა თავისი შინაგანი სტრუქტურით ინდოევროპულს ემთხვევა. როგორც ინდოევროპული შედარებით-ისტორიული მეტრიკის უკანასკნელმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, საერთო ინდოევროპული ლექსის სტრუქტურაც აბსოლუტური სიმეტრიის პრინციპზეა აგებული.

ხსენებულ მონოგრაფიაში გ. წერეთლის მიერ გამოთქმული აზრები ახალ სტიმულს მისცემს ქართველური და ინდოევროპული მეტრიკის შედარებით-ისტორიულ კვლევას, შესაძლებელს გახდის მათი არქეტიპების რეკონსტრუქციას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება შედარებით-ისტორიული ვერსიფიკაციისა და ტიპოლოგიური ლინგვისტიკისათვის. ნიშანდობლივია, რომ გ. წერეთლის ამ შრომათა გავლენით მუშაობა წარიმართა ინდოევროპულ ლექსში „ოქროს კვეთზე“ აგებული სტრუქტურების საძიებლად.

გ. წერეთლის მიერ წამოყენებული ორიგინალური თეორია ქართველური ლექსისა, რომლის სტრუქტურა ემთხვევა ინდო-ევროპული ლექსისას, ახალ პრობლემებს წამოჭრის

შედარებითი პოეტიკის დარგში საზოგადოდ და განსაკუთრებით სხვადასხვა კულტურული არეალების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით.

ის ფაქტი, რომ ქართულ სილაბურ მეტრიკაში „ოქროს კვეთის“ პროპორციაა განხორციელებული, მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც, სახელდობრ, სხვადასხვა სახის ხელოვნებათა ტიპოლოგიური შესწავლის ასპექტით. ირკვევა, რომ „ოქროს კვეთის“ პროპორცია გამოიყენება არა მხოლოდ სივრცულ ხელოვნებაში, როგორც ეს ტრადიციულ თეორიებში იყო მიჩნეული; ამგვარი შეფარდება არანაკლებ ღირებულია აგრეთვე დროით განზომილებიან ხელოვნებებში (როგორცაა მუსიკა, პოეზია, კინემატოგრაფი და სხვ.).

ნიშანდობლივია, რომ ახლახან გამოსული ვრცელი ტომი გამოჩენილი ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიკოსისა რომან იაკობსონისა, რომელშიც თავმოყრილია აწ განსვენებული მეცნიერის ნაწერები ლექსთწყობისა და საზოგადოდ პოეტიკის საკითხებზე, მთლიანად ეძღვნება გიორგი წერეთელს - „ადამიანს, მებრძოლს, მკვლევარს“. ეს არის, უდავოდ, საერთაშორისო აღიარება იმ წვლილისა, რაც გიორგი წერეთელმა შეიტანა ზოგადი და ქართული ვერსიფიკაციის საკითხთა კვლევაში.

ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე გ. წერეთელმა ბევრი აღმოსავლეთმცოდნე აღზარდა, რომელნიც წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო, სასწავლო თუ სხვა ხასიათის დაწესებულებებში. მრავალმხრივმა და ღრმა ერუდიციამ, მაღალი კლასის მეცნიერულმა ნაშრომებმა, ამავე დროს არაჩვეულებრივმა ორგანიზატორულმა უნარმა დამსახურებული ავტორიტეტი მოუპოვა მსოფლიო მეცნიერებაში გ. წერეთელს და მის მიერ შექმნილ სამეცნიერო სკოლას. გ. წერეთლის დიდი ღვაწლის აღიარების დასტური იყო აგრეთვე ის, რომ იგი არჩეულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრად და აგრეთვე საპატიო წევრად პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოებისა. თავის ერთ-ერთ გამოსვლაში საკავშირო აკადემიის მაშინდელი პრეზიდენტი მ. კელდიში აღნიშნავდა:

„...Академия наук Грузинской республики выросла в очень крупное научное учреждение. Причем надо подчеркнуть, что она имеет ряд школ, которые пользуются мировой известностью, школ мирового значения. Это математическая школа, ведущая свое начало от академика Мухелишвили, школа в области физиологии, ведущая свое начало от Бериашвили, школа востоковедения, возглавляемая членом Академии Церетели.“

მეტად თავისებული იყო გიორგი წერეთლის მუშაობის სტილი და მანერა.

თავის ყოველ ახალ იდეას იგი წინასწარ გამოიტანდა ხოლმე უახლოეს მოწაფეებთან და თანამშრომლებთან სამსჯელობოდ, სანამ საბოლოოდ მის გაფორმებას შეუდგებოდა. მსჯელობებსა და დისკუსიებში იხვეწებოდა თვით ეს იდეა, ახალ-ახალი თვალსაზრისებით მდიდრდებოდა, ხოლო ამგვარი დისკუსიების მონაწილენი მეცნიერული მსჯელობის წარმოებისა და მეცნიერული აზრის სათანადო ფორმით ჩამოყალიბების საუკეთესო სამეცნიერო სკოლას გადიოდნენ. მეცნიერული მუშაობის ამ მეთოდმა გამოიწვია სწორედ ამდენი მოწაფეთა და სამეცნიერო საკითხებში თანამოაზრეების გაჩენა, რომლებიც აგრძელებდნენ შემდგომ კვლევას მის მიერ დასახული მიმართულებით.

ეს მიმართულებები და დარგები მრავალი იყო. გიორგი წერეთელი არ მიეკუთვნება იმ მკვლევართა რიცხვს, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გარკვეული სამეცნიერო დარგის ერთი განსაზღვრული მიმართულებით მუშაობენ და ქმნიან უდავოდ საჭირო, მაგრამ ხშირად ნაკლებ საინტერესო ნაშრომებს, სადაც ნაკლებად იგრძნობა აზრის გაქანება, ახალი იდეების სიუხვე.

თამამად შეიძლება, ითქვას, რომ გიორგი წერეთლის თითქმის ყოველი გამოქვეყნებული ნაშრომი - ეს არის ახალი სიტყვა ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგში.

გარკვეულ უბანზე გაკეთებულ აღმოჩენას, რაც სათანადოდ ფორმირდებოდა მეცნიერული გამოკვლევის სახით, იგი ხშირად აღარც უბრუნდებოდა და მთელი თავისი ყურადღება და ნიჭი სულ სხვა საკითხებზე გადაჰქონდა, რომლებიც ამ ეტაპზე მას უფრო მნიშვნელოვნად და საინტერესოდ ეჩვენებოდა; და აქ იგი კვლავ ქმნიდა ბრწყინვალე გამოკვლევებს, რომლებიც მკითხველს აოცებს ავტორის მეცნიერული ერუდიციით, სახავდა ახალ პრობლემებს, რომლებიც უმაღვე იპყრობდა მსოფლიო მეცნიერების ყურადღებას.

გიორგი წერეთლის როგორც მეცნიერის სიდიადე განისაზღვრება არა გამოქვეყნებულ შრომათა რაოდენობით, არამედ მის მიერ შექმნილ გამოკვლევათა ხასიათით, რომელთაგან თითოეული თავისებულ აღმოჩენას წარმოადგენს და წარუშლელ კვალს ტოვებს მსოფლიო მეცნიერების სათანადო დარგებში. ესაა მისი როგორც მკვლევრის სპეციფიკა.

გიორგი წერეთელი თავის თავში აერთიანებდა ფაქტიურად რამდენიმე სამეცნიერო დარგის სპეციალისტსა და ღრმა მცოდნეს, რაც მას საშუალებას აძლევდა ახლებურად, თავისებური თვალთახედვით შეეხედა თითოეული დარგისათვის. იგი იყო საქვეყნოდ აღიარებული სემიტოლოგი, უბადლო ირანისტი და ქართველოლოგი. იგი იყო ბრწყინვალე ფილოლოგი და ენათმეცნიერი, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის უახლოეს მიღწევათა დონეზე და ხშირად თავისი შესანიშნავი გამოკვლევებით განსაზღვრავდა ამ დონეს...

აკადემიკოს გიორგი წერეთლის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. იგი გარდაიცვალა 69 წლის ასაკში შემოქმედებით ძალთა აღმავლობის ხანაში, როცა მისი გონება ჯერ კიდევ სავსე იყო ახალი, ფართო სამეცნიერო გეგმებით. მას ბევრი რამ განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ ისიც, რაც განსვენებულმა მეცნიერმა შექმნა, მუდამ ექნება საამაყოდ ქართულ მეცნიერებას.

თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე

## ГЕОРГИЙ ВАСИЛЬЕВИЧ ЦЕРЕТЕЛИ

(Краткий очерк научной и общественной деятельности)

Выдающийся грузинский ученый, основоположник грузинского востоковедения, крупнейший арабист и признанный глава советской семитологии Георгий Васильевич Церетели родился 21 октября 1904 г. В селе Тианети в семье известного общественного деятеля и врача Василия Церетели. Еще в раннем детстве маленький Гоги проявляет исключительный интерес и способности к языкам, а в гимнастические годы уже свободно владеет несколькими иностранными языками. Этот интерес приводит его на лингвистическое отделение факультета Тбилисского университета, где под руководством известных грузинских ученых, основателей Тбилисского университета, Ив. А. Джавахишвили, Ак. Г. Шанидзе и Г. С. Ахвледиани готовится к научной деятельности в области языковедения и востоковедения. В 1928г. Его зачисляют в аспирантуру Академии наук СССР в Ленинграде. Будучи аспирантом, Г. В. Церетели под руководством выдающихся русских ученых-востоковедов И. Ю. Крачковского, П. К. Коковцова и В. В. Бартольда специализируется по разным отраслям семитологии. Позже его приглашают в качестве дщцента арабского языка в Государственный институт живых восточных языков.

В 1933 г. Г. В. Церетели возвращается в Тбилиси, где с большой энергией принимается за подготовку молодых кадров по разным отраслям семитологии. Он возглавляет созданное им восточное отделение в институте языка, истории и материальной культуры.

В 1942 г. Г. В. Церетели блестяше защищает докторскую диссертацию и в том же году получает звание профессора.

В 1944 г. Г. В. Церетели избирается членом-корреспондентом Академии наук Груз. ССР, а в 1946 г. – ее действительным членом. Тогда же он становится членом-корреспондентом Академии наук СССР.

В 1957-1967 гг. Г. В. Церетели руководит отделением общественных наук Академии наук Грузинской ССР, а в 1967-1970 гг. Является ее вице-президентом. До последних дней своей жизни он – член Президиума Акакдемии наук Грузинской ССР.

1968 г. Г. В. Церетели, ученый с мировым именем, за выдающиеся заслуги перед наукой избирается действительным членом Академии наук СССР (академиком).

Исключительные способности Г. В. Церетели как ученого и организатора науки со своей полнотой проявились после 40-х г. По его инициативе был создан факультет востоковедения при Тбилисском государственном университете, а также Институт востоковедения Академии наук Грузинской ССР, ставшгй под руководством Г. В. Церетели одним из важнейших центров мировой ориенталистики (сегодня этот Инститнт носит его имя). Он же основал „Комиссию по публикации иностранных источников о Грузии“, подготовившую к печати до сотни работ арабских, персидских, греческих, ярмянских, русских, западноевропейских авторов.

При его деятельном участии была создана „Комиссия по установлению академического текста „Витязя в тигровой шкуре“ при Президиуме Академии наук Грузинской ССР.

Г. В. Церетели был членом редколлегии восьмитомного „Толкового словаря грузинского языка“, членом редакционной коллегии „Грузинской Советской Энциклопедии“.

Поразительно широк круг научных интересов ученого. Он включает арабское языковедение и фольклор, гебраистику и арамеистику, древние языки Ближнего Востока и историю письменностей, картвелологию, вопросы грузинского и сравнительного стихосложения, проблемы теоретической лингвистики... В каждую из этих отраслей Г. В. Церетели внес свой значительный вклад, и его труды заняли почетное место в сокровищнице отечественной филологической науки.

Среди них особого внимания заслуживает исследование неизвестных дотоле арабских диалектов Средней Азии – одна из значительных страниц истории арабистики. Данные этих диалектов – неоценимый источник для арабской сравнительной диалектологии. В то же время они освещают кардинальные вопросы истории арабского языка. В результате лингвистического анализа обширного языкового материала Г. В. Церетели установил существование двух самостоятельных арабских диалектов – бухарского и кашкадарьинского, из которых первый приближается к месопотамскому наречию, а второй – к речи бедуинов. Заслуга ученого в этой области нашла всеобщее признание. Его диалектологические штудии в данном направлении открыли новые перспективы перед современной арабистикой. Об этих трудах акад. И. Ю. Крачковский писал: „Открытие и исследование арабских диалектов Средней Азии приносят славу нашей науке, нашей стране, а для мировой науки являются в известном смысле переворотом“.

Г. В. Церетели провел большую работу по изучению арабских языковых традиций на Кавказе. Им были изданы с превосходными историко-филологическими комментариями письма Шамиля.

С целью подготовки специалистов-арабистов Г. В. Церетели составил „Арабскую хрестоматию“, в которую вошли тексты, относящиеся к Грузии и Кавказу, а также впервые опубликованные ученым отрывки из автографа Макария Антиохийского (XVII в.) и из истории сочинения ал-Фарики (XII в.). Вслед за этим вышел первый Арабско-грузинский словарь (1951), по сей день не потерявший своего большого научного и практического значения. Г. В. Церетели работал над «Грамматикой классического арабского языка», которая была им в основном закончена, руководил составлением большого арабско-грузинского словаря, учитывающего почти все важные памятники классического арабского языка. Г. В. Церетели подготовил к печати описание путешествия Макария Антиохийского, являющееся важнейшим источником для истории России и Грузии.

Ученый много занимался вопросами арабской литературы. Его лекции по арабской поэзии неизменно вызывали огромный интерес. Перу Г. В. Церетели принадлежат и грузинские переводы арабских поэтов. Следует, в частности, отметить матерски исполненный им перевод стихов Эмина Рейхани. Г. В. Церетели был редактором грузинского перевода «Тысячи и одной ночи», выполненный его учениками (при жизни ученого вышли два тома перевода).

Выдающимся событием в семитологии была предпринятая Г. В. Церетели расшифровка и исследование арамейских надписей, обнаруженных при археологических раскопках недалеко от

древней Столийи Грузии – Мцхета. Им посвящены известные исследования «Армазская билингва» (1941) и «Армазская надпись эпохи Митридата Иверийского» (1962).

Исследованные Г. В. Церетели армазские арамейские надписи имеют исключительное значение не только как новый источник для истории развития восточноарамейского письма и его ответвлении, но и для решения ряда важнейших культурно-исторических проблем древней Грузии. В указанных трудах автор разработал целый ряд узловых проблем истории государственного строя древней Иберии и вопросы происхождения грузинского алфавита. Эти работы приобретают исключительное значение и для истории семитской письменности: при изучении арамейских надписей, обнаруженных в Армази, Г. В. Церетели установил новый, до того неизвестный вид арамейского письма, вошедший в науку под названием «Армазского» и занявший свое место во всех последующих описаниях арамейской системы письма.

Не менее важной для истории грузинской культуры является монография Г. В. Церетели «Древнейшие грузинские надписи из алестины» (1969), в которой автор, благодаря тонкому филологическому анализу надписей с привлечением обширной исторической литературы, сумел установить, что надписи из Палестины древнее всех известных до того грузинских эпиграфических памятников и датируются первой половиной пятого столетия н. э.

К этому же кругу проблем относится исследование Г. В. Церетели о греческой надписи эпохи Веспасиана (1958), в котором автор, дав оригинальное толкование определенных мест греческого текста, предлагает совершенно новую интерпретацию всей надписи. Здесь же следует упомянуть работы ученого, посвященные иранским эпиграфическим памятникам (надписи Шапура I и Картира из Персеполиса) и манихейским документам той же эпохи (фрагменты из Турфана). Иранские манихейцы имели миссионерскую книгу, в которой рассказывается о деятельности учеников Мани в странах Востока и Запада с целью распространения манихейской религии еще при жизни своего учителя. От этой книги сохранились фрагменты на среднеперсидском, парфянском и согдийском языках. Оригинальная интерпретация текстов и новая идентификация встречающихся в них собственных имен, предложенная Г. В. Церетели и принятая такими учеными, как В. Хеннинг, который, кстати, сам является издателем этим материалов, позволили выявить новые факты из культурной истории Грузии середины III в. н. э. Было установлено, что около 260-го года в Иберию (Грузию) прибывает ученик Мани, который проповедует манихейскую религию, «совершает чудеса» и создает манихейскую общину. Об этом узнает иберийский царь Амазасп. Одновременно с этим, по свидетельству надписи Картира в Персеполисе, он, Картир, магупат и основатель зороастрийской государственной церкви в Иране, следуя за полчищами Шапура, насаждает зороастрийские институты и ведет борьбу против христиан, еретиков, манихейцев и язычников в странах, покоренных Шапуром, в том числе в Грузии и Армении.

Таким образом, эти памятники дают возможность восстановить историю борьбы разных религиозных течений в Грузии незадолго до официального принятия в стране христианства. В этих работах, представляющих блестящий образец тонкого историко-филологического анализа текста, Г. В. Церетели выступает не только как семитолог и картвелолог, но и как отменный

иранист, привлекающий данные целого ряда иранских и других индоевропейских языков для решения собственно иранистических проблем.

В области семитской филологии заслуживают также внимания изданные Г. В. Церетели еврейские эпиграфические памятники, обнаруженные на территории Грузии и наблюдения над речью грузинских евреев. В последние годы Г. В. Церетели с увлечением занимался исследованием уникальной древнееврейской рукописи, хранящейся в Институте рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР и имеющей важное значение для изучения истории вокализации древнееврейских текстов. Рукопись происходит из деревни Лайлаши (северо-западная Грузия) и условно именуется «Лайлашской библией». Палеографический анализ текста дает основание предложить, что рукопись относится к X в. С точки зрения написания консонантного текста Тбилисская рукопись является одной из лучших среди известных памятников аналогичного характера, а в некотором отношении (в частности, по части употребления т. Н. «знаков, заполняющих строки») стоит даже выше, чем знаменитый кодекс из Алеппо. Г. В. Церетели полагает, что при будущем научно-критическом издании текста «Пятикнижья» Тбилисская рукопись может послужить одним из основных историков.

Г. В. Церетели внес крупный вклад и в изучение языков Древнего Востока. Его труд «Урарские памятники Музея Грузии» (1939) является образцом издания эпиграфических памятников древнеписьменного языка. Он исследовал также отдельные вопросы структуры урартского языка. Детальное изучение структуры этого древнеписьменного языка позволило Г. В. Церетели по-новому осветить вопрос о функциях номинальных и вербальных аффиксов урартского языка и их взаимоотношений и выявить систему спряжения глагола и склонения имен, существенно отличную от принятой в урартоведческой литературе. Урартский язык в структурно-типологическом отношении оказался близким к кавказским, хотя генетические отношения этого языка все еще остаются невыясненными. Труды эти заложили основу изучения клинописных языков в Грузии.

При всей многогранности своей научной деятельности Г. В. Церетели прежде всего был замечательным лингвистом, обогатившим современное языкознание рядом работ теоретического характера. Тут следует прежде всего упомянуть выдвинутую им теорию «аллогенетических отношений» в связи с проблемами ареальной лингвистики (см. «О языковом родстве и языковых союзах», 1968). Многолетние исследования вопросов о взаимоотношениях семитских и хамитских языков, объединяемых в новейших исследованиях под общим наименованием «афразийских», привели ученого к допущению наряду с исконными родственными отношениями между языками и таких отношений приобретенного родства (или сродства), именуемых им «аллогенетическими», которые могут возникнуть между изначально неродственными языками в условиях ареального единства. В этом же аспекте рассматривается им и целый ряд структурно-типологических сходств между картвельскими и индоевропейскими языками, проявляемых в их фонологической и морфологической структуре (см. «О теории сонантов и аблаута в картвельских языках, 1965). Работы Г. В. Церетели по проблематике языковых союзов и теории аллогенетических отношений языков являются новым словом в теоретической лингвистике, а разработанные им оригинальные принципы идентификации и классификации семитских языков составлфют существенный вклад в семитологию и структурно-типологическую лингвистику вообще.



Бессмертная поэма Шота Руставели «Вытязь в барсовой шкуре» всегда занимала особое место в научном творчестве Г. В. Церетели. Велики его заслуги в подготовке критического издания текста поэмы. Будучи главным редактором этого издания, покойный ученый с огромным увлечением и со свойственной ему скрупулезностью исследовал самые различные вопросы этимологического (семантического) анализа, связанные с текстом поэмы. За последнее время он опубликовал ряд исследований, касающихся лексики и поэтики этого произведения. Из этих работ наиболее значимой является последняя монография Г. В. Церетели «Метр и рифма в поэме Руставели «Витязь в барсовой шкуре» (1973), представляющая собой как бы научное завешание замечательного ученого. В ней автор излагает свои открытия в исследовании как поэтики Руставели, так и грузинского стихосложения вообще, имеющие существенное значение для разработки проблем сравнительного стиховедения. Г. В. Церетели устанавливает, что стих Руставели является регулируемым силлабическим и строится на соотношении абсолютной симметрии – 4:4.8 и пропорции «золотого сечения» – 3:5.8 или 5:3.8. Выясняется, что такая силлабическая структура стиха Руставели и грузинского стиха вообще является спецификой стиха общекартвельского, чем картвельская версификационная структура совпадает со структурой общеиндоевропейского стиха, строящегося в основном, как показали последние исследования по сравнительно-исторической индоевропейской метрике, по принципу абсолютной симметрии – 4:4.8.

Мысли, высказанные Г. В. Церетели по поводу картвельской и индоевропейской версификационных структур, могут послужить новым стимулом дальнейшего изучения сравнительно-исторической картвельской и индоевропейской метрики и реконструкции древнейших типов стиха картвельского и индоевропейского, представляющих особый интерес для проблем сравнительного стиховедения и типологической лингвистики. Характерно, что в последнее время, уже под влиянием работ Г. В. Церетели, начались поиски древнеиндоевропейской версификационной структуры, построенной по пропорции «золотого сечения» аналогично картвельской силлабической метрике. Выдвигаемая Г. В. Церетели оригинальная теория грузинского стиха, структура которого совпадает со структурой стиха индоевропейского, ставит новые проблемы в области сравнительной поэтики вообще и исторических взаимоотношений различных культурных ареалов.

Обнаружение Г. В. Церетели в картвельской силлабической метрике пропорции «золотого сечения» существенно и в методологическом аспекте, в плане типологии различных видов искусств. Выясняется, что пропорция «золотого сечения» приложима не только к пространственным искусствам, как это считалось в традиционной теории; такие соотношения не менее значимы и в отношении к искусствам временным.

Примечательно, что недавно вышедший в свет пространственный том «Избранных трудов» выдающегося ученого-лингвиста современности, филолога и историка культуры Романа Якобсона, включающий работы ныне покойного ученого по вопросам стихосложения и общей поэтики, посвящается великому памяти Г. В. Церетели – «человеку, борцу, исследователю». Это, несомненно, международное признание вклада Г. В. Церетели в разработку вопросов общей и грузинской версификации.

За долгие годы преподавательской деятельности Г. В. Церетели воспитал немалое число востоковедов, успешно работающих в различных научных учреждениях страны. Всесторонняя и глубокая эрудиция, первоклассные научные труды, а также незаурядные организаторские способности создали ему заслуженный авторитет в мировой науке. Признанием выдающихся заслуг ученого явилось его избрание почетным членом Королевского Азиатского Общества Великобритании и Ирландии, а также почетным членом Польского Общества Ориенталистов.

В одном из своих выступлений бывший Президент Академии наук СССР М. С. Келдыш заявил: «Академия наук Грузинской республики выросла в очень крупное научное учреждение. Причем надо подчеркнуть, что она имеет ряд школ, которые пользуются мировой известностью, школ мирового значения. Это математическая школа, ведущая свое начало от академика Мухелишвили, школа в области физиологии, вежущая свое начало от Бериашвили, школа востоковедения, возглавляемая членом Академии Церетели».

Весьма своеобразными были стиль и манера работы ученого. Каждую свою новую идею, прежде чем окончательно сформулировать ее, он выносил на обсуждение в кругу своих ближайших учеников и коллег. В таких дискуссиях оттачивалась сама идея, обогащаясь новыми положениями, а их участники проходили великолепную школу ведения научных споров и учились точным методам изложения научных идей.

Подобный метод исследовательской работы обусловил появление множества учеников и единомышленников, впоследствии с успехом продолживших исследования в намеченных ученым направлениях. А направления эти были многочисленны. Георгий Васильевич Церетели не принадлежал к числу тех ученых, которые в течение всей своей жизни работают лишь в одной узкой отрасли знаний и создают несомненно нужные, но при этом менее интересные труды, в которых едва ли чувствуется размах научной мысли и обилие новых идей. Можно смело утверждать, что почти все работы Г. В. Церетели являются новым словом в различных отраслях филологии и лингвистики. Порой он даже не возвращался к сделанному им открытию в определенной отрасли знаний, а переносил все свое внимание на другие вопросы, казавшиеся ему на данном этапе более значительными и интересными, и тут он создавал новое блестящее исследование, ставил новые проблемы, неизменно привлекавшие внимание мировой научной общественности.

Значимость научного наследия Г. В. Церетели определяется не количеством оставленных им трудов, а характером созданных им исследований, каждое из которых является своеобразным открытием и новым словом в соответствующих областях науки.

Г. В. Церетели фактически совмещал в себе специалиста и знатока нескольких научных отраслей. Он был всемирно известным семитологом, несравненным иранистом и картвелологом, блестящим филологом и языковедом, который всегда стоял на уровне новейших достижений мировой филологии и лингвистики и зачастую своими исследованиями сам определял этот уровень.

Жизнь Георгия Васильевича Церетели оборвалась неожиданно в момент наивысшего расцвета его творческих сил, когда он был еще полон новых научных планов. Но и то, что он

создал в науке, навечно останется ярким свидетельством выдающихся достижений отечественной филологической науки.

Т. В. Г а м к р е л и д з е

## GEORGE V. TSERETELI

(An overview of his scholarly and public activities)

George V. Tsereteli, an outstanding Georgian scholar and one of the founders of Georgian Oriental studies, an Arabist of world renown and an acknowledged pioneer of Soviet Semitic studies. Was born in the village of Tianeti on October 21, 1904, in the family of Vasili Tsereteli, a well-known public figure and physician.

In his early childhood Tsereteli showed an exceptional gift for languages. On entering the Kutaisi gymnasium, he already knew several foreign languages. This interest in languages eventually brought him to the linguistics department of the faculty of philosophy of Tbilisi University. Here, under the guidance of the well-known Georgian scholars I. A. Javakhishvili, A. G. Shanidze and G. S. Akhvlediani, he prepared for work in the field of linguistics and Oriental studies. In 1928 he was enrolled as a graduate student at the USSR Academy of Sciences in Leningrad. Taking his graduate work under the guidance of such eminent scholars as I. Yu. Krachkovski, P. Kokovtsov and V. Bartold Tsereteli specialized in various branches of Semitic studies. Later, he was invited to join the faculty of the State Institute of Living Oriental Languages as an assistant professor of Arabic.

In 1933 Tsereteli returned to Tbilisi and engaged vigorously in the training of local specialists in various branches of Semitics.

He headed the newly formed Oriental Department at the Institute of Language, History and Material Culture.

In 1942 Tsereteli successfully defended his doctoral thesis and received the title of professor in the year.

In 1944 he was elected a Corresponding member of the Georgian SSR Academy of Sciences and in 1946, a full member. About the same time he was elected a Corresponding member of the USSR Academy of Sciences.

From 1957 to 1967 Tsereteli headed the Department of Social Sciences of the GSSR Academy of Sciences; in 1967-1970 he was Vice-President of the same Academy. He was a life member of the Presidium of the GSSR Academy of Sciences.

In 1968, Tsereteli – by then a world-famous scholar – was elected a member of the All-Union Academy of Sciences for his outstanding contribution to scholarship. This fact was viewed by the scientific and scholarly community as a just recognition of his versatile activities.

